ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N63

2015 წლის 29 მაისი

ქ.ქობულეთი

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის 2015 წლის 04 მარტის მე-3 ოქმის მე-2 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად ქონების პირდაპირი წესით განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"- 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის 2015 წლის 04 მარტის მე-3 ოქმის მე-2 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის (კულტურის სახლით) მეორე სართულზე მდებარე 72.0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით პირდაპირი წესით განკარგვაზე 1 (ერთი) წლის ვადით ქორეოგრაფიული ფასიანი წრის გასახსნელად;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ს.ოქროპირიძე**